"მე შენ მიყვარდი, შენ მნამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 3 (292) 30 მარტი სამშაბათი, 2021 წელი; ფასი 1 ლ.



## ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი კი არა, ღვთის რწმენის, ურთიერთგაგების, სიყვარულის და სახელმწიფოებრივი აზროვნების კრიზისია.

ევროპამ ვერ უშველა დემოკრატიის კრიზისს საქართველოში

მაშველი რგოლი ისევ ფსევდოდემოკრატიით გამწარებული ხალხია

**გიორგი გახარიას ახალი პარტია დემოკრატიის ახალი პროცესის დასაწყისი იქნება, თუ ძველის ახლებური გაგრძელება?**

გიორგი გახარია, თუ ეროვნულ გზას დაადგება, ექნება დიდი მხარდაჭერა, განსაკუთრებით, ზვიადისტებისაგან

მე-2 გვ



## გოჩა ლორთქიფანიძე ჰააგის სასამართლოს მოსამართლედ აირჩიეს

წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს თანაქალაქელს-კარგ ფოთელსა და მეგობარს საერთაშორისო ასპარეზზე

მე-3 გვ

## როცა დემოკრატია ყვავის, არც ჟურნალისტები ახსოვს ვინმეს და არც ჟურნალისტის დღე

აქ იწერება ქალაქის ისტორია

მე-2 გვ



**მილოცვა**

*„საქართველო არის მისი საფიცარი მამული"*

## ბატონ სპარტაკ გოგინავას დაბადების დღესთან, 1 აპრილთან დაკავშირებით



*„საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა) " ასოციაცია ბატონ* ***სპარტაკ გოგინავას*** *ულოცავს დაბადების დღეს, 1 აპრილს, რამეთუ მას ბევრი კარგი საქმე უკეთებია და ღირსეულად უტარებია ფოთელის სახელი.*

*მას ადრეული ასაკიდან ეთქმის „მე ფოთელი ვარ, მაშასადამე საპატიო მოქალაქე".*

*კიდევ მრავალ წელს, ბატონო სპარტაკ, ღირსეულად გეტარებინოს ეს წოდება.*

*ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ.*

*ემრავლოს თქვენს მიერ გაკეთებულ კეთილ საქმეებს.*

*პატივისცემით გიორგი გუდავაძე,*
*„საპატიო ფოთელთა" (მოქალაქეთა) ასოციაციის თავმჯდომარე*



## ლეილა კაკულიას მონატრება

უკანასკნელ გზაზე

მე-5 გვ

**სამძიმარი**

**ლილი ხორავას გარდაცვალების გამო**

*ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ფოთის საპატიო მოქალაქე, მრავალი თაობის აღმზრდელი, კეთილშობილი ქალბატონი*

## ლილი ხორავა

*და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.*

## „ფაზისის" აკადემიამ ნუგზარ ნადარაიას ხელმძღვანელობით 2014 წელს წმინდა სინოდს მიმართა ზვიად გამსახურდიას წმინდანად შერაცხვის თაობაზე, რაც ნამდვილი აღდგომა იქნებოდა სამშობლოსათვის წამებული შვილისა



*ვედრება: უფალო იესო, აარიდე საქართველოს მტრობა, ნგრევა, უსამართლობა, სიღარიბე.*

*საქართველოს გზა არის ღვთიური გზა, გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა*

მე-3 გვ



## ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს

ერთ დღეს მოგეკითხებათ ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის

**ქართული ეროვნული ცნობიერება უკვდავი ფენომენია და არავის არ ძალუძს მისი დანგრევა**

მე-7 გვ

*მილოცვა ბატონ ზურაბ აბრალავას დაბადების დღესთან დაკავშირებით*



*კაცი ხარ გულით ცამდე მართალი,*
*ძველი კოლხეთის გავებავს მითები,*
*ეს საუკუნე გახდა მართვადი,*
*შენ ვერ გმართავენ ვერასდიდებით.*



ალეკო დოლბაია
7 მარტი, 2021 წელი

## დაფუძნდა „საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა)" ასოციაცია



თავმჯდომარე გიორგი გუდავაძე

მე-3 გვ



## გამოსათხოვარი

*„შენ უკვდავების ხარ ბინადარი"*

*„მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა"...*

## ევგენი (გია) გოგინავა

მე-5 გვ

## ისტორია – დიდი გზამკვლევი

ფოთს საქართველოში აღიარებულ ქირურგთა კოჰორტა ემსახურებოდა დიდი დასტაქრის მამია ჩხეიძის ხელმძღვანელობით

გთავაზობთ მის მოგონებებს:

**„ქირურგიული მომსახურების განვითარება ქალაქ ფოთში"**

მე-6 გვ



## ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი კი არა, ღვთის რწმენის, ურთიერთგაგების, სიყვარულის და სახელმწიფოებრივი აზროვნების კრიზისია.

## ევროპამ ვერ უშველა დემოკრატიის კრიზისს საქართველოში მაშველი რგოლი ისევ ფსევდოდემოკრატიით გამწარებული ხალხია

## გიორგი გახარიას ახალი პარტია დემოკრატიის ახალი პროცესის დასაწყისი იქნება,თუ ძველის ახლებური გაგრძელება?

*გიორგი გახარია, თუ ეროვნულ გზას დაადგება, ექნება დიდი მხარდაჭერა, განსაკუთრებით, ზვიადისტებისაგან*



პარადოქსია- არჩევნებამდე ხალხი ყველაფერს წყვეტს, ყველაფრის პატრონია,არჩევნების მერე არაფერს არ ეკითხებიან, თუმცა, იმ ერთ დღეს მის ხელშია ხელისუფლებაც და ძალუფლებაც, რისთვისაც იბრძვიან პარტიები ყველა ბინძური მეთოდით -პროვოკაციებით, 30 წელია მანიპულირებენ ხალხის გაჭირვებით. იცვლება ხელისუფლებები, ხალხის მდგომარეობა უცვლელი რჩება. ხალხი მარტო დარჩა თავის ტკივილთან და პრობლემებთან ერთად. 30 წელია ხელისუფლებები, ვითომ დემოკრატიით ქუჩიდან მოსულები თავის ჭკუაზე დაატარებენ ქვეყანას, ვაჭრობენ ყველაფრით - ქვეყნის მომავლით. და ასე, თანდათან დემოკრატია პრობლემად გვექცა. ავტორიტარიზმში და კორუფციაში გადაიზარდა, რაც ახალმწვერვალებზე აიყვანა მიხეილ სააკაშვილმა, რითაც ცუდი მაგალითი დაუტოვა დიდ ოლიგარქს,რომელსაც ასევე არ ეთმობა ერთმმართველობა ქვეყანაში, თუმცა, პარტია დატოვა და, ალბათ, ქვეყანასაც დატოვებს, მას გახარიაც მიყვა. იქნებ, ამიტომაც ეშინია ,,ოცნებას" ხელახალი არჩევნების. სამწუხაროდ, პარტიულობა და თანამდებობა ერთმანეთსაა მიბმული. პარადოქსია ისიც, რომ ხელისუფლების მიტაცება ვითომ დემოკრატიით, იოლად ხდება, ხოლო გამოხსნაა ძნელი. ხალხის უბედურებას ერთმანეთს აბრალებენ,რათა ისევ ხელისუფლებაში მოვიდნენ და გააგრძელონ ქვეყნის ყვლეფა..დაიბნა ხალხი,გაუჭირდათ მტყუან-მართლის გარჩევა. სამწუხარო ისაა,რომ პარლამენტი არაა არჩეული მთელი საქართველოდან,-რადგან გარეთაა ოპოზიცია. ამ დროს ოპოზიციამ მეტი ხმა მიიღო, ვინემ მართველმა პარტიამ. საქმე ისაა, რომ მათ პარლამენტარობა და ქვეყნის სამსახური კი არ აინტერესებთ, არამედ პარლამენტის მეშვეობით მთავრობა და ქვეყნის დაპატრონება. ვერ იქნა მიღწეული კოალიციური მთავრობა, დაიღალა ხალხი დემოკრატიული ცდებით. თუმცა, დემორატია არც ამერიკლებს გამოუვიდათ და შტურმით აიღეს მისი ციტადელი. სამწუხაროდ, ხალხს არ სჯერა, რომ ვიღაც ნამდვილად სწუხს მის გასაჭირზე, ამიტომაც არც ახალი არჩევნების სჯერათ, მესამე ძალა კი არ ჩანს. პარტიები წამდაუწუმ იშლებიან, საეჭვოა ერთ დღეში შექმნილი პარტიების მიზანი და მომავალი. იგი გახდა ნაძირლების თავშ საფარი, რომლებიც ხალხის ნაძარცვი ფულით ახალ-ახალ პარტიებს აყალიბებენ, რომ ისევ გააბრიყვონ დემოკრატიით გაბრუებული ხალხი, რომელსაც მხოლოდ არჩევანის უფლება დარჩა. ასეა, თუ ისეა, ცხოვრება თავისი გზით მიდის, ეტყობა კაპიტალიზმმაც და დემოკრატიამაც ვერ გაამართლა. სიღარიბე, უმუშევრობა, ესაა თავისუფლების დამოუკიდებლობის ყველაზე დიდი მტერი, როცა არ არის სახელმწიფოებრივი აზროვნება. ესაა გენეტიკურად მდიდარი ხალხის გენოციდი,ქართველი კაცი სახელოვანია მეცნიერებაში, ხელოვნებაში სპორტში,არადა,დანაშაულია,როცა ეს ადამიანები ქვეყანას ტოვებენ. ქვეყანაში თითქოს პოლიტიკოსთა კრიზისია, პარლამენტი გაივსო მილიონერი ბიზნესმენებით. ამ დროს არაფრის მთქმელია ლოზუნგი - დემოკრატია საფრთხეშია! დემოკრატია კი არა-ხალხია საფრთხეში. პოლიტიკური კრიზისის უმთავრესი მიზეზი გაყალბებული არჩევნებია. ცხადია,გამყალბებელი მას არ აღიარებს და უნდა დაუმტკიცო ამის ძალა კი ოპოზიციას არააქვს. არჩევნები გინდაც არ გაყალბებულიყო, ჩვენი ბრალია ერთპარტიულობაც და ერთმმართველობაც -ჩვენ ავირჩიეთ. ამათი შერიგება წარმოუდგენელია, გინ მიშელი ჩამოიყვანე და გინდაც დანიელსონი. მოკლედ,ჰაერში დარჩა ევროპის გამოწვდილი ხელი. არავინ იცის როდის ვეღირსებით ამათ ხელის ჩამორთმევას. ქვეყანა კიდევ ნორმალური ცხოვრების მოლოდინშია. 30 წლიანმა გამოცდილებამ ცხად ყო, რომ ნაღდ დემოკრატიას ვითომ დემოკრატია სჯობია. აქ დევს კორუფცია,პირადი კეთილდღეობა. ასევე ყალბია პოლიტიკური პატიმრების თემაც. რომელი პოლიტიკოსები ესენი არიან,ან რა პოლიტიკური დანაშაული აქვთ. პოლიტიკური კრიზისი იმან შექმნა, რომ ერთი კაცია ყველაფერი. პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი. სასამართლო და ა. შ. ასე იყო სააკაშვილის დროს,და ასეა ახლაც და ასე ვტრიალებთ დემოკრატიის ცარცის წრეზე და ეს სულისკვეთებაც კარგახანს დარჩება პარტიულ გუნდებში, რომებიც სახიფათო თამაშს ეწევიან, ავიწყდებათ, რომ ყველა დიდება წარმავალია,მათ შორის ხელისუფლების შარავადენდი.

ისევ დემოკრატიულ პარადოქსებზე ვამახვილებთ ყურადღებას - საქართველო ისევ დემოკრატიის შუქურაა. სააკაშვილი დემოკრატიის ლიდერი, რომელსაც არ უშვებენ საქართველოში. ამ დროს ეს იყო დამნაშავე რეჟიმი, რომელიც თავად ებრძოდა დემოკრატიას. ყვარყვარიზმი უნდა დამთავრდეს...

ცალკე საკითხია ქართული ჟურნალისტიკა. ისინი პარტიულ ინტერესებს უფრო იცავენ,ვიდრე სახელმწიფოს. ასე,რომ არც სახელმწიფო და არც კერძო მედია დამოუკიდებელი არაა. კერძო ტელევიზიას ბიზნესია ამოფარებული. პროკურორები ჟურნალისტობენ. ყველგან შექმნილია საგამოძიებო ჯგუფები, როგორც ანგარიშწორების საშუალება. ესაა თავისუფალი, ოღონდ თავისუფალი ბინძური სიტყვა. უნდა დასრულდეს საქართველოში სიტყვით მკვლელობის დრო. მოკლედ,აქაც დიდი გზაა გასავლელი ნამდვილ დემოკრატიამდე.

სამწუხაროდ, არც ეკლესიაშია კარგი ვითარება. აქაც პარადოქსია, ის რომ კერძო ეკლესიები გაჩნდნენ და სულიერ შვილებად ყაჩაღებს და ბანდიტებს აღიარებენ. მოკლედ,ვერ გაიყვეს ქვეყანა. პოლიტიკა, ბიზნესი, ეკელსია ისეა გადახლართული ერთმანეთში, ვერ გაიგებ რომელი რესპუბლიკა ვართ-სადაა პრეზიდენტი, სადაა სახელმწიფო.

ერთ დროს ქრისტეს სახელით ვებრძოდით მტერს. ახლა ერთმანეთს ვებრძვით. სადაა სიყვარულის მატარებელი ერი? დავკარგეთ ყველაზე მეტი სიმდიდრე-ადამიანებს შორის ურთიერთობა,სიყვარული - თავისუფლება. ხალხი არ ცხოვრობს საზოგადოებრივი ცხოვრებით. სამშობლო და ქვეყნისთვის ზრუნვა დასაცინი გახდება მალე. ძარცვა და ფულის შოვნა გახდა კაცობის საზომი. მახსენდება დიდი ვაჟას სიტყვები:

,,ვაი ჭკვიანთა,უჭკუოთა გამო".

და მაინც, უნდა გავაგრძელოთ პოლიტიკური ცხოვრება. პარლამენტში მოვიყვანოთ ღირსეული ადამიანები ეროვნული სულისკვეთებით, რომელთაც არ ასვენებთ ფესვებთან მიახლოება და გენეტიკური სისხლის ყივილი. სანამდე იქნება ქვეყანა დაპირისპირებული, ორად გაყოფილი,კმარა ორსახოვანი საქართველო.

უნდა შეიქმნას ერთიანი სახელმწიფოებრივი სივრცე ჩვენს ცნობიერებაში,მეხსიერებაში. მიზანი-ქვეყნის სამსახური და არა პირადი კეთილდღეობა, რაც დაანგრევს ამ ქვეყანას საარჩევნო კამპანიად რომ გადაიქცა და დღემდე არ წყდება პოლიტიკური ბატალიები.

გვახსოვდეს მტრობით დანგრეული -ძმობას, ურთიერთგაგებას და სიყვარულს უშენებია.

ქვეყანა ,,ნაცების" და ,,ქოცების" დაპირისპირებას არ უნდა გადავაყოლოთ. ის უფრო დიდია, ვინემ ყველა ერთად აღებული პარტია თავიანთ წევრებიანად, ჩვენ ბევრნი ვართ - ქვეყანა ერთია! ეროვნული ხელისუფლება და დამოუკიდებლობა იდენტურია,კმარა სხვისი მოიმედეობა,გინდ იყოს რუსეთი და გინდაც - აშშ.

ზ. აბრალავა

## როცა დემოკრატია ,,ყვავის", არც ჟურნალისტები ახსოვს ვინმეს და არც ჟურნალისტის დღე

### აქ იწერება ქალაქის ისტორია



ასე გამოიყურება 100 წლის რედაქცის შენობა, ერთდროს პრესის სასახლე, სადაც იმართებოდა შეხვედრები, თემატური საღამოები, კომფერენციები. აქვე იყო საქალაქო რადიო, დიდი ტიპოგრაფია, სადაც ათობით სპეციალისტი მუშაობდა და ათასობით გაზეთი იბეჭდებოდა. ყველაფერი წარსულს ჩაბარდა,ჟურნალისტიკა მძიმე პერიოდს გადის, არ არის გასაღების ბაზარი,ფინანსური პრობლემები კვლავაც გადაულახავია. ბევრი მავანის დაკვეთას ასრულებს,- ლამისაა პროკურატურა შეცვალოს. მიუხედავად ათასი გასაჭირისა, ვცდილობთ გავაგრძელოთ ქართული პრესის ტრადიცია,ვცდილობთ ვიყოთ მართალი,მიუკერძოებელი,ვემსახურებით სახელმწიფოს და არა ხელისუფლებას.

სამწუხაროა, რომ რედაქცია მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდებათ. შენობა ცუდ მდგომარეობაშია. არადა, კანალიზაციის სისტემის გაყვანის შემდეგ გალამაზდა თამარ მეფის ქუჩა. ის ერთ-ერთი გზაა ზღვაზე გასასვლელად, უსახური შენობა კი ელფერს უკარგავს აქაურობას. როცა შემოსავლები გვქონდა, იგი არაერთხელ გავარემონტეთ. შემდეგ ჩვენი კრიტიკული წერილების გამო ,ნაცებმა" გააჩერეს რედაქცია მიზერული ვალების გამო,როცა სხვებს მილიონები აპატიეს, იმედი გვქონდა ,,ოცნება" მოგვხედავდა,რამეთუ ამდენი ვეომეთ ნეოფაშისტებს. ამბობენ ქალაქში ასი მილიონერი ცხოვრობსო. არც მათ გავხსენებივართ. ზოგიერთი შეგვპირდა დახმარებას (ახლა არ დავასახელებთ) მაგრამ არჩევნების შემდეგ არ გავხსენებივართ,არადა, შესასვლელში, რითაც მობინადრეებიც სარგებლობენ,შეიძლება ჭერი ჩამოინგრეს. მოკლედ, ასე ვცხოვრობთ აქ შიშის ქვეშ გაზეთის რედაქციის თანამშრომლები,ნიკოლაძის პრემიის ლაურიატები, დამსახურებული ჟურნალისტები, ღირსების ორდენოსნები.

როცა დემოკრატია ,,ყვავის",იქნებ მიხედოს ქალაქმა დემოკრატიის ერთ-ერთ მთავარ შტოს, მეოთხე ხელისუფლებას, რათა გააგრძელოს ჟურნალისტური ცხოვრება ახალმა თაობებმა.

***P.S. როგორც ყველა რედაქციასთან, ჩვენს რედაქციასთანაც ჩამოყალიბდება ჟურნალისტური გამოძიების ჯგუფი, საზოგადოებაში ბევრი კითხვა დაგროვდა და პასუხს ითხოვს!...***

## 17 მარტიდან ვაქცინაცია ხორციელდება




ევექსის კლინიკა (მის: კ. გამსახურდიას №6)

სამედიცინო სფეროში დასაქმებული პირების ვაქცინაცია ხორციელდება სპეციალურ ონლაინ პლატფორმაზე რეგისტრაციის მიხედვით. COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციას ექვემდებარება ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული ყველა პირი - ექიმი, ექთანი, სანიტარი, ლაბორანტი, სტომატოლოგი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი, ეპიდემიოლოგი, ადმინისტრაციული მუშაკები (მენეჯერი, მძღოლი, რეგისტრატორი და ა.შ).

რეგისტრაციის პორტალი: https://booking.moh.gov.ge/

რეგისტრაციის ინსტრუქცია: https://fb.watch/4c2mI8hKtj/

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ინფექციისაგან დაცვის ეფექტური და უსაფრთხო საშუალებაა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უწყებები და კვალიფიციური ექიმები რეკომენდაციას უწევენ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციას.

#StopCov

# „ფაზისის" აკადემიამ ნუგზარ ნადარაიას ხელმძღვანელობით 2014 წელს წმინდა სინოდს მიმართა ზვიად გამსახურდიას წმინდანად შერაცხვის თაობაზე, რაც ნამდვილი აღდგომა იქნებოდა სამშობლოსათვის წამებული შვილისა

ვედრება: უფალო იესო, აარიდე საქართველოს მტრობა, ნგრევა, უსამართლობა, სიღარიბე



მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საფლავი გვირგვინით შეამკეს საქართველოს ეროვნული ძალების წარმომადგენლებმა.

## საქართველოს გზა არის ღვთიური გზა - გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა

ზვიად გამსახურდია 1939 წლის 31 მარტს დაიბადა. ის იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. მის სახელს უკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. 1990 წლის 14 ნოემბერს გამართულ პირველ სესიაზე, ახლადარჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია თავმჯდომარედ აირჩია. იმავე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ქვეყანას „საქართველოს რესპუბლიკა" უწოდეს და აღადგინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფო ატრიბუტიკა - დროშა, გერბი და ჰიმნი. მოგვიანებით, 1991 წლის 9 აპრილს, 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა. ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტად 1991 წლის გაზაფხულზე აირჩიეს და 1992 წლის დასაწყისში ქვეყნიდან განდევნეს, სამხედრო გადატრიალების შედეგად. საქართველოს პირველი პრეზიდენტი 1993 წლის 31 დეკემბერს ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში დაიღუპა.

ისტორიის გააზრების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის წინსვლა-ეს უნდა გააკეთოს ახალგაზრდობამ თავისი მომავლისათვის.

ვიდრე არ შეფასდება 1990-1993 წლის მოვლენები, ქვეყანას სულ ექნება წინსვლის პრობლემები.

როგორც ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ბრძანა-საქართველოს გზა არის გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა. თითქოს თავის თავზე ეთქვას ეროვნულ გმირს ეს სიტყვები - ეს დროც დადგება...

## გოჩა ლორთქიფანიძე ჰააგის სასამართლოს მოსამართლედ აირჩიეს
## წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს თანაქალაქელს-კარგ ფოთელსა და მეგობარს საერთაშორისო ასპარეზზე



საქართველოს იუსტიციის მინისტრობის კანდიდატი გოჩა ლორთქიფანიძე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლედ აირჩიეს.

გოჩა ლორთქიფანიძე 2012 წლიდან საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა, ხოლო მას შემდეგ, რაც თეა წულუკიანი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ქართული ოცნების" სიის წევრად დასახელდა და გადადგა, ლორთქიფანიძე მინისტრის მოვალეობას ასრულებს.

გოჩა ლორთქიფანიძეს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის (1985-1991 წწ) სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. არის ესექსის უნივერსიტეტის (1994-1995წწ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მაგისტრი და ჰარვარდის სამართლის სკოლის (2003-2004 წწ.) საერთაშორისო სამართლებრივი მეცნიერებების მაგისტრი. 1991-2005 წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე მრავალმხრივი დიპლომატიის სფეროში, იყო საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილების თანამშრომელი, გაერო-ს სამმართველოს უფროსის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველი, საგანგებო დავალებათა ელჩი და კონფლიქტების საკითხებზე მიზნობრივი ჯგუფის ხელმძღვანელი. 1999-2003 წლებში მუშაობდა გაერო-სთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მრჩევლად, შემდეგ კი უფროს მრჩევლად.

2005 წელს გოჩა ლორთქიფანიძე დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩევლად საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის საკითხებში. ხელმძღვანელობდა პრემიერ-მინისტრის საგარეო ურთიერთობების სამსახურს. 2007 წელს გახდა ფულბრაიტის სტიპენდიანტი და საქმიანობა ნიუ იორკში აკადემიურ სფეროში გააგრძელა: 2007-2010 წლებში იყო კოლუმბიის უნივერსიტეტის მოწვეული მკვლევარი, 2010-2013 წლებში კი – ამავე უნივერსიტეტის ადიუნქტ-პროფესორი. 2018 წლიდან არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (Iსს) დაზარალებულთა ფონდში დირექტორთა საბჭოს წევრი აღმოსავლეთ ევროპიდან.

2020 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა გოჩა ლორთქიფანიძე ჰააგის სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატად დაამტკიცა. საქართველომ მოსამართლეობის კანდიდატი აღმოსავლეთ ევროპის კვოტით წარადგინა.

## ამირან გამყრელიძის განცხადება



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით კორონავირუსით რეინფიცირების შემთხვევების რამდენიმე ნიმუშზე მიმდინარეობს კვლევა. მისივე თქმით, რეინფიცირების დადასტურებულ შემთხვევას კიდევ რამდენიმე ერთეული დაემატება.

ვაქცინაციის პროგრამა უკვე იხსნება, როგორც სამედიცინო პერსონალისთვის, ასევე 65 წლის ზემოთ ასაკის ნებისმიერი მოქალაქისთვის. როგორც კი „ფაიზერი" ჩამოვა ქვეყანაში, უმოკლეს ვადებში მოხდება მისი ასახვა სისტემაში და მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა არჩევანი გააკეთოს „ფაიზერსა" და „ასტრაზენეკას" ვაქცინებს შორის, – ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, თამარ გაბუნიამ განაცხადა.

„ფაიზერის" ვაქცინა უკვე საქართველოშია.

შეზღუდვებთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული მსჯელობა. საქართველოში გვაქვს რამდენიმე რეგიონი, რომელიც შესაძლოა წითელ ზონად ჩამოყალიბდეს,- ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ დღეს „იმედის დილაში" განაცხადა.- ესაა ამ ეტაპზე, გურია, იმერეთი და თბილისი, სადაც ყველაზე მეტია მობილობა. შეზღუდვებს არ გამოვრიცხავ", - აღნიშნა ტიკარაძემ.

სამეგრელოს რეგიონში მკურნალობის კურსს პაციენტები რუხის ( 28),სენაკის ლაზიკა მედის(15), სენამედის(12),აბაშის ევექსის(6) კლინიკებში , ფოთისა(18)და ზუგდიდის(8) ჰოსპიტალებში გადიან.

## ფოთს საფრანგეთის ელჩი დიეგო კოლასი სტუმრობდა




ქალაქ ფოთის მერი **გოჩა კურდღელია** საფრანგეთის ელჩს საქართველოში **დიეგო კოლასს** შეხვდა. შეხვედრას ქალაქ ფოთის მერის მოადგილე პაატა ლაგვილავა, საფრანგეთის ელჩის მრჩეველი თანამშრომლობისა და კულტურის საკითხებში პიერ კლუე, საგანმანათლებლო სფეროს კოორდინატორი ქეთევან ქურციკიძე ესწრებოდნენ.

გამოითქვა სურვილი ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვასა და ქალაქ ფოთის საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქთან დამეგობრებაზე. შეხვედრაზე ორი ქვეყნის კულტურულ ურთიერთობაზე გამახვილდა ყურადღება და ამ კუთხით ალექსანდრე დიუმასა და ფოთის ქალაქისთავის ნიკო ნიკოლაძის როლზე ისაუბრეს.

ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ ელჩს ფოთში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნო და მის ტურისტულ პოტენციალზე ისაუბრა.

საფრანგეთის ელჩმა საქართველოში დიეგო კოლასმა, ვიზიტის ფარგლებში, ფოთში ნიკო ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიუმას ძეგლები ყვავილებით შეამკო და მე-5 საჯარო სკოლას ეწვია.

## დაფუძნდა „საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა)" ასოციაცია
### თავმჯდომარე - გიორგი გუდავაძე



2020 წლის 22 ნოემბერს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა „საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა)" ასოციაცია, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იქნა გიორგი გუდავაძე, მოადგილედ ირაიდა ფაცია და პასუხისმგებელ მდივნად ნაპო თოდუა.

„საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა)" ასოციაციის საქმიანობის მიზანია მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, „საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა)" კანონიერი ინტერესების დაცვა, თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართულობის განხორციელება, საჯაროობის რეალიზაციის უზრუნველყოფა.

„საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა)" ასოციაციის მისამართია: ფოთის მუნიციპალიტეტი, 26 მაისის ქუჩა №50.

„საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა)" ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა. წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სახელმწიფო სტრუქტურებში, როგორც საჯარო სამართლის, ასევე კერძო სამართლის სუბიექტებთან მიმართებაში, ასევე სასამართლო ინსტანციებში.

ბ. თვითმმართველობის საქმიანობის პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღების ორგანიზება-რეალიზაცია.

გ. ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული და სხვა სახის პროექტების განხორციელების უზრუნველყოფაში და დაგეგმარებებში აქტიური მონაწილეობის მიღების ორგანიზება;

დ. „საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა)" ასოციაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა)" ასოციაციის დამფუძნებელთა საერთო კრება.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა)" ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს როგორც საპატიო ფოთელის (მოქალაქის) წოდების მქონე, ასევე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, ფიზიკური და ასევე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, მათ შორის (უცხო ქვეყნის).

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა)" ასოციაციის წევრად მიღების საკითხს წყვეტს გამგეობა.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა)" ასოციაციის წევრი უფლებამოსილია მონაწილეობდეს დამფუძნებელთა კრების მუშაობაში.

ასოციაციაში გაწევრიანების მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ ზემოთხსენებულ მისამართზე.

საკონტაქტო ტელეფონი: **571 55 69 44**

## ფოთის მუნიციპალიტეტის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სხდომათა დარბაზში იმსჯელეს ქალაქის სამელიორაციო სამუშაოებზე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სხდომათა დარბაზში ქალაქისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ეკოლოგიურ-მელიორაციული პრობლემების შემფასებელი სამეცნიერო-ტექნიკური ჯგუფის სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე და მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე თოფურია სხვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

სამუშაო ჯგუფი სწავლობს ისეთ საკითხებს როგორიცაა ზღვის სანაპირო ზოლის აბრაზიული რეცხვა, პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენა, მდინარე რიონის ქალაქის არხის გაწმენდა და შემდგომი მოვლა-პატრონობა, ახალი ტიპის მოტივტივე ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობის საპილოტე გამოცდის მიზანშეწონილობა, მდ.რიონის ჰიდროტექნიკური ნაგებობის მდგომარეობა, გალერეის შესწავლა და სარეაბილიტაციო წინადადებების მომზადება.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის „წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის" პროფესორებმა რობერტ დიაკონიძემ და იური ქადარიამ ჩატარებული კვლევებისა და გაწეული მუშაობის შესახებ ისაუბრეს.

შეხვედრაზე ქალაქის ერთიანი მელიორაციული პროგრამის შემუშავების საკითხზე გამახვილდა ყურადღება.

# ირა ფაცია - კარგი მოქალაქე და მენეჯერი
## გრძელდება ქუჩების რეაბილიტაცია



დამთავრდა აკაკის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, თუ როგორ ყურადღებას უთმობს ქალაქის მუნიციპალიტეტი, პირადად ქალაქის მერი **გოჩა კურდღელია** და მისი პირველი მოადგილე **კონსტანტინე თოფურია** ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას.

აკაკის ქუჩის მაცხოვრებლებს და უბრალოდ გამვლელს ახარებს, რომ ასეთი ლამაზი ქუჩა არსებობს ფოთში. რუსთაველის რკალზე მდებარე აკაკის ბიუსტი, შესანიშნავად ერწყმის ამ ქუჩას, რაც ნიმუშია იმისა, თუ როგორი რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს გზას. ასევე არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, თუ ვინ ჩაატარა რეაბილიტაცია. ის გახლავთ შპს. ,,გზამშენი-13"-ი. რომლის გენერალური დირექტორია, ფოთში და არამარტო ფოთში, კარგად ცნობილი ქალბატონი, ფოთის საპატიო მოქალაქე **ირაიდა ფაცია**.

თუ ჩაივლით აკაკის ქუჩას ბოლომდე, ძალაუნებურად გაგახსენდება იოსებ გრიშაშვილის ლექსი:

,,როცა ხარფუხის გზებზე, ფეხებში მხვდება ქვები, ვიღებ და გვერდით ვაგდებ, მწამს დამლოცავენ სხვები". - აქ სადაა ახლა ქვები...

დიახ, ვინც ჩაივლის აკაკის ქუჩას აუცილებლად დალოცავს მის მშენებლებს, ქალბატონ ირაიდა ფაციას, რომელმაც მთელი ძალისხმევა ჩააქსოვა, რათა ასეთი ლამაზი გაეხადა აკაკის ქუჩა და დიდი სიხარული მიენიჭებინა გამვლელებისათვის.

დაგელოცოს მარჯვენა და ქალობა ქალბატონო ირაიდა!

ი. სპერი





# იქმნება სპორტული თევზჭერის ახალი კერა



2020 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთში დაფინანსებული საგრანტო პროექტები განიხილეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)-ის ,,რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში-ფაზა 2"-ის ფარგლებში გამართულ რეგიონულ შეხვედრაზე.

პრეზენტაციას, სსიპ ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის " საკონფერენციო დარბაზში სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული მალხაზ თორია, ფოთის მერი გოჩა კურდღელია, გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი ლუიზა ვინტონი და UNDP პროექტის მენეჯერი თიკო ტყეშელაშვილი ესწრებოდნენ.

ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ მადლობა გადაუხადა გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელს, შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობებს, რომელთა ფინანსური მხარდაჭერით ჩვენს ქალაქში შეიქმნა ტურიზმისა და სპორტული თევზჭერის კერა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)-ის ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, მარტოწყალას ტბაზე, სათევზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა. შეხვედრაზე პროექტების მნიშვნელობაზე ისაუბრეს და გაწეული საქმიანობა შეაჯამეს.

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასთან (DMO), რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ახალი ინიციატივების განხორციელებას.



სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა მალხაზ თორიამ და ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ სტუმრებთან ერთად მარტოწყალას ტბაზე მოწყობილი სათევზაო ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში მოეწყო საჩრდილობლები, ვიზიტორთა და მეთევზეთა მომსახურების ცენტრები, პირსი.

# 22 მარტი წყლის რესურსების დაცვის მსოფლიო დღეა



წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს'' ინიციატივით, კამპანიის - ,,ლურჯი ნაკადულის'' ფარგლებში, ფოთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქცია ჩატარდა .

მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართულობითა და მხარდაჭერით მოწყობილ აქციაში ,ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, მერის მოადგილე მამუკა პაპასკირი, მერიის სამსახურების, ა(ა)იპ-ებისა და კოლხეთის ეროვნული პარკის თანამშრომლები მონაწილეობდნენ. მათ კუნძულის სანაპირო ზოლის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს.

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე 1993 წლიდან აღინიშნება. იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დააწესა. ეს არის დღე, როდესაც მსოფლიო საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი პროდუქტია სასმელი წყალი კაცობრიობისათვის და რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის რესურსების მოფრთხილებასა და დაცვას.

კამპანიის ფარგლებში წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე საქართველოში 2011 წლიდან აღინიშნება.

# ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფილიალში - ფოთის საზღვაო საწვრთნელ ცენტრში ამწისა და ტექნიკის სიმულატორის ლაბორატორია გაიხსნა.




სასწავლებელს თანამედროვე სიმულატორი „ეიპიემ ტერმინალს ფოთი" - სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური"-მა გადასცა. იმავე დღეს ხელი მოეწერა ფოთის საზღვაო საწვრთნელი ცენტრს და „ეიპიემ ტერმინალს ფოთი" - სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელის, თამარ იოსელიანის განცხადებით, „ამ ეტაპზე საქართველოში არ გვაქვს ამ სიმულატორის ანალოგი. სრულიად თანამედროვე სიმულატორი გამოიყენება 6 ტიპის სანავსადგურე და სამშენებლო ტექნიკის ოპერირებისათვის საკლასო სწავლების პირობებში. აღსანიშნია, რომ თანამედროვე ტექნიკის ექვსი ტიპიდან ორი ჯერ კიდევ არ გამოიყენება ქართულ პორტებში, თუმცა, მათი მართვის შესწავლა კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახდება უახლოეს მომავალში ფოთის ახალი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის ექსპლოატაციისათვის".

როგორც იოსელიანმა განაცხადა: „უახლოეს მომავალში საზღვაო სასწავლებელში გადამზადდებიან ფოთის პორტში დასაქმებული პირები. ძალიან მალე კი - დაიწყება მეთვზე-მეზღვაურთა გადამზადებაც, რათა მათ შეძლონ ახალ გემებზე მუშაობა".

ფოთის საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი 2020 წლის 27 ოქტომბერს გაიხსნა. თანამედროვე, ტექნოლოგიური სტანდარტებით აღჭურვილი სასწავლებელი 1000 სტუდენტზეა გათვლილი. საზღვაო სასწავლებელი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე და სანავსადგურე პროფესიების განვითარებაზეა ორიენტირებული.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელი თამარ იოსელიანი, ბათუმის საზღვაო აკადემიის რექტორი ირაკლი შარაბიძე, „ეიპიემ ტერმინალს ფოთის" ოპერაციების დირექტორი მეთიუ რანტანენი, ფინანსური დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე ჯულიან ფერნანდესი და ადამიანური რესურსების და კომუნიკაციების დირექტორი ლელა კვანტალიანი.

# ფოთის პორტში ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთი (SNMG2) შემოვიდა,



საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთი (SNMG2) შემოვიდა, რომლის შემადგენლობაში შედის: საფლაგმანო ხომალდი "CRISTOBAL COLON" (ესპანეთი), "REGINA MARIA" (რუმინეთი), "KEMALREIS" (თურქეთი) და "შ I" (ბულგარეთი). შენაერთს კონტრადმირალი მანუელ აგირე ალდერეგია ხელმძღვანელობს.

ფოთის პორტში სტუმრებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული მალხაზ თორია, ფოთის მერი გოჩა კურდღელია, საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე და შინაგან საქმეთ სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლები დახვდნენ.

საპორტო ვიზიტი მიზნად ისახავს საქართველოსა და ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნების საზღვაო ძალებს შორის ურთიერთთავსებადობის ამაღლებას.

კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის ვიზიტი საქართველოში ჩვენი ქვეყნისადმი მხარდაჭერის მკაფიო გზავნილია.

მნიშვნელოვანია, რომ ნატოს საზღვაო შენაერთის ვიზიტები საქართველოს შავი ზღვის პორტებში რეგულარულ ხასიათს ატარებს, რაც შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი ხელშესახები შედეგია.

შენაერთის ვიზიტი საქართველოში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების სრული დაცვით ხორციელდება.

ნატოს ხომალდები საქართველოს ტერიტორიულ წყლებს 18 მარტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვასთან ერთად დაგეგმილი წვრთნების დასრულების შემდგომ დატოვებენ.

## ლეილა კაკულიას მონატრება

## უკანასკნელ გზაზე



„ფოთი მორბის შენკენ ხელებგამოწვდილი, შენი ნახვის მოიმედე“, წერ საკუთარ ლექსში, რომელიც ქართველ ებრაელებს მიუძღვენი. ეს სიტყვები უკანასკნელ გზაზე შენს გაცილებასაც მიესადაგება, რადგან შენი თანაქალაქელები ყვავილებით ხელებგამოწვდილი-ცრემლების თავსხმაში მიგაცილებდნენ უკანასკნელ გზაზე, შენ ხომ ასეძალიან გიყვარდა სიცოცხლე და ყვავილები, ყველა ფოთელი საკუთარ ძმასავით და შვილივით მიგაჩნდა, აკი ამბობდი: „ ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთო“. უსამანო კეთილშობილებას და სიყვარულს იტევდა შენი პატარა გული, რომელიც ფოთელებს და სრულიად საქართველოს მიუძღვენი. მათი წარმატებით ხარობდი, მათი ტკივილი შენც გტკიოდა.

გუშინდელივით მახსოვს როგორ შემოვიდა შენს კაბინეტში ერთი თვალცრემლიანი მამაკაცი (იმ დღეს რატომღაც მომენატრე და მოგინახულე, ჩვენ ხომ ერთ საბავშო ბაღში დავდიოდით, ერთ სკოლაში ვსწავლობდით და ერთ მერხთან ვისხედით, აფხაზეთშიც ერთ უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდით, ერთად ვიყოფდით ლხინსა და სტუდენტურ მშფოთვარე დღეებსაც. ერთად ვუსმენდით სოხუმში მოწვეულ გალაკტიონ ტაბიძეს, იოსებ გრიშაშვილს, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეებს, შალვა დადიანს, გოგლა ლეონიძეს თუ შალვა ნუცუბიძეს და კიდევ ბევრ, ძალიან ბევრ ქართველ თვალსაჩინო მოღვაწეებს).

სახლი დამეწვა, ქალბატონო ლეილა, ამბობდა თვალცრემლიანი მამაკაცი, მეუღლით და ხუთი შვილით ქუჩაში დავრჩით ღვთის ანაბარა, თუ შეგიძლია რამე დამეხმარეო. შენ მაშინ ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდი. თქმა არ ჰქონდა დასრულებული, ცრემლები ღაპაღუპით წაგსკდა, უცებ ყურმილი აიღე და საკუთარ ოჯახში დარეკე. ყურმილი შენმა დედასავით ტკბილმა და სათნო დედამთილმა ქალბატონმა - გული მაშავამ აიღო „დედა, შენთან ახლა გასაჭირში მყოფი პიროვნება მოვა, რასაც მოახერხებ ყოველგვარი საოჯახო ნივთები გაატანე, ფული თუ დაგრჩა, ისიც მიეცი, ხვალ ხელფასი იქნება არ შეგეშინდეს, მშიერი არ დავრჩებით“ მეხსიერებიდან ახლაც არ ამომდის იმ პიროვნების მადლიერებით სავსე ატირებული თვალები, როგორ მოგეხვია იგი და როგორი იმედებით მიაცილე კაბინეტის კარამდე. ეს არ იყო შენთვის პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, რამდენი შეჭირვებულისთვის გაგიწვდენია დახმარების ხელი, რამდენი ახალგაზრდა დაგიყენებია სწორ გზაზე, რამდენი ობოლი და შეჭირვებული გაზრდილა შენს საოცრად ჰუმანურ ოჯახში. გიჟი დედა, თავგადაკლული ბებია, ნათესავების მოყვასი, ერთგული მეგობარი, გულგაშლილი და სტუმართმოყვარე დიასახლისი, ყველა ფოთელის მომფერებელი და დამფასებელი - ასე გიცნობდნენ, ასეთი დარჩი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ღირსეულ პატივს მიაგებდი ფოთში ჩამოსულ მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს კომპოზიტორებს, საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობებს, თუ სხვადასხვა ანსამბლის სოლისტებს. მწუხარების ჟამს აღტაცება ვერ დავმალე, როდესაც ანსამბლ „ ივერიის“ მომღერალი ვახტანგ ტატიშვილი შენს ცხედართან ჩავლილი დავინახე. თქვენც ბატონო ვახტანგ?! -უნებურად წამომცდა. ხელები მაგრად ჩამჭიდა, წუთით შენს ცხედართან შეჩერდა და ცრემლები წასკდა. ამდენი მწუხარე სახე და ამდენი ცრემლიანი თვალები ფოთში არასოდეს მინახავს. ეს, ალბათ, იმ დიდი სიყვარულის გამოხატულება, რომელიც ფოთელებისგან სიცოცხლეშივე ჯილდოდ გერგო.

უსაზღვროდ გიყვარდა პოეზია, ზეპირად იცოდი გამოჩენილი პოეტების ლექსები, თანამედროვეთაგან შოთა ნიშნიანიძე გიყვარდა ძალიან: „ აღარ მაძინებდა მზერა ალმაცერი, ხალიანი ტუჩი, მკლავი ანაცერი...... მივდიოდი მხოლოდ და შენს აცრილ მკლავებს თითებს დავაწყობდი როგორც სალამურზე,“ ხშირად იმეორებდი ლექსის ამ სტრიქონებს, თავადაც წერდი, მაგრამ მოკრძალებული იყავი და არ აქვეყნებდი, შენი ლექსი, რომელიც დაიწერა ქართველ ებრაელებზე, რომლის მუსიკა ეკუთვნის ფოთელების საყვარელ კომპოზიტორს ლეილა ლოლუას - შესანიშნავად შეასრულა მომღერალმა ნანი გუგუშვილმა ანსამბლ „ფაზისთან“ ერთად, რომელიც არასოდეს არ ამოვა, არა მარტო ფოთელ, არამედ ქართველი ებრაელების მეხსიერებიდან.

ჯილდოების ზღვაში ცურავდი, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო შენთვის ფოთელების სიყვარული იყო. როცა ღირსების ორდერით დაგაჯილდოვეს ლექსი მოგიძღვენი გახარებულმა ხუმრობით მითხარი: „ როცა მოვკვდები ეს ლექსი საფლავზე უნდა წამიკითხოვო“ შენ ასი წელი არ მოკვდები, ისეთი გენეტიკური კოდიდან მოდიხარ მეთქი, სიცილით ვუთხარი. თხოვნა ვერ შეგისრულე, რადგან ცრემლები მახრჩობდა, გთხოვ, მაპატიო, ახლა გაზეთის ფურცლებს ვანდობ ჩემს უდიდეს გულისტკივილს:

*„ლაშარის ჯვარი“ ვერ*
*დააკავებსო ქალს, -ამბობბენ თუ*
*კი გაგულისდა,*
*ეს გული ნაკუწ-ნაკუწ უწილადე*
*სხვას, ქალმა ზღვა გულისამ,*
*ტიმ სევერინსაც შეშურდა შენი,*
*როს ჩამოაცურა არგო,*
*ფოთელებს ერთი სიყვარული*
*აქვთო შენგან გაუგიათ კარგო.*

*თავად ჩითის კაბით გაგივლია,*
*სხვებისთვის ჩაგიცვამს ფარჩა,*
*სიკეთის მანტია ყველასთვის*
*შეგიკერავს, შენთვის მტკაველიც*
*არ დაგრჩა,*
*ჯილდო კი-მღელვარე გულის*
*კაკუნია, ათასი ფიქრი და გარჯა,*
*სხვა ჯილდო არ უნდა ლეილა*
*კაკულიას ფოთელთა*
*სიყვარულის გარდა.”*

ცრემლების თავსხმაში დატოვე ფოთი, ფოთელების სიყვარული მიგაცილებდა საფლავის ბოლომდე, დე, ამ სიყვარულმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში ჩემო სიყრმის მეგობარო! უფალს ებარებოდე ამინ !

ლუიზა ჩხეტია

## გამოსათხოვარი

## „შენ უკვდავების ხარ ბინადარი”

## „ მიდიხარ, ტბილი გქონდეს მგზავრობა”...

## ევგენი (გია) გოგინავა



ქალქ ფოთის ინტელიგენციასა და ექიმთა საზოგადოებას უდროოდ გამოაკლდა მისი ღირსეული წარმომადგენელი, ფოთელებისათვის საყვარელი პიროვნება, დამსახურებული ექიმი-თერაპევტი **ევგენი (გია) გოგინავა**.

გია გოგინავა იყო ნამდვილი სახალხო დასტაქარი. ფოთელებს დიდად ეიმედებოდათ მისი. ბოლო დროს, რაც ეს ახალი პანდემია გამოჩნდა, იგი ჩადგა მის წინააღმდეგ მებრძოლთა წინა რიგებში და გმირულად დაეცა მასთან ბრძოლაში. მიუხედავად მძიმე პანდემიის ფონის, მისი დაკრძალვის დღე ნამდვილი გლოვის დღე იყო, რამეთუ, ყველა ფოთელს სურდა გაეცილებინა იგი უკანასკნელ გზაზე.

ევგენი (გია) გოგინავა დაიბადა 1957 წლის 27 თებერვალს, ფოთში.

1964-1974 წწ. სწავლობდა ქ. ფოთის №1 საშუალო სკოლაში.

1976-1982წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ფოთის პოლიკლინიკაში.სადაც მუშაობდა 1991 წლამდე.

1992 წლიდან 1999 წლამდე გია ექიმი მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს სამხედრი-საზღვაო ჰოსპიტალში.

1999-წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ქალაქის №1 პოლიკლინიკაში.

მას დარჩა მეუღლე, კეთილი და სათნო ქალბატონი ქეთევან გოგინავა, რომელიც მუშაობს ავერსის აფთიაქში პროვიზორად.

შვილები: თინათინი მუშაობს ფოთის საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის, სასწავლო და საწვრთნელი პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარ სპეციალისტად. ხოლო ალექსანდრე ექიმ-იმუნოლოგი, ფოთის საპატიო მოქალაქეა.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი და ამაგდარიგი ექიმი და თან გაიყოლა ფოთელთა ალალი ცრემლი და სიყვარული.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

ფოთელები

****

**P.S.**

**,,მაპატიე მამა, ვერ გიშველე!”**

ცნობილ ინფექციონისტს, ალექსანდრე გოგინავას მამა გარდაეცვალა. ექიმი გია გოგინავა კორონავირუსს ემსხვერპლა.

ინფორმაციას ,,საქართველოს ჯანმრთელობის ფედერაცია” სოციალურ ქსელში ავრცელებს.

,,საქართველოს ჯანმრთელობის ფედერაცია” ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 63 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ექიმი, თერაპევტი გია გოგინავა!



ძვირფასო მეგობრებო, გია გოგინავა გახლავთ ცნობილი ქართველი ინფექციონისტის და ღირსეული ვაჟკაცის, ალექსანდრე გოგინავას მამა, რომელიც საქართველოში კორონავირუსის დაფიქსირების პირველივე დღეებიდან სრულიად უანგაროდ ეხმარებოდა ქართველ ხალხს დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში!

,,მაპატიე მამა, ვერ დაგეხმარე, ვერ გიშველე!” - წერს ინფექციური საავადმყოფოს ექიმი-ინფექციონისტი ალექსანდრე გოგინავა, რომელმაც უამრავ ჩვენს თანამოქალაქეს გადაურჩინა მშობელი!

სამწუხაროდ, ალექსანდრე გოგინავამ მამა სწორედ კორონავირუსთან უთანასწორო ბრძოლაში დაკარგა!”,

## 1899 წლის 26 მარტს, ფოთში ცნობილი პედაგოგის -იასონ ამირანაშვილის ოჯახში დაიბადა ცნობილი მეცნიერი და კულტუროლოგი შალვა ამირანაშვილი



1899 წლის 26 მარტს დაიბადა საქართველოში ხელოვნებათმცოდნეობისა და სამუზეუმო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ცნობილი მეცნიერი და კულტუროლოგი – **შალვა ამირანაშვილი** (1899-1975).

შალვა ამირანაშვილი თითქმის 40 წლის განმავლობაში (1939-1975) საქართველოს ხელოვნების მუზეუმს ხელმძღვანელობდა. მან ისტორიული როლი შეასრულა ხელოვნების მუზეუმის განვითარებისა და კოლექციების გამდიდრების საქმეში. 1945 წელს, შალვა ამირანაშვილმა ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, საქართველოდან საფრანგეთში გახიზნული საგანძური სამშობლოში ჩამოიტანა და მისი დიდი ნაწილი ხელოვნების მუზეუმში დააბინავა. შალვა ამირანაშვილი არის არაერთი ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი, რომელიც ხელოვნებათმცოდნეებისა და კულტურის მკვლევართათვის დღესაც აქტუალურია. დღეს ხელოვნების მუზეუმი შალვა ამირანაშვილის სახელს ატარებს და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნაწილია.

## ისტორია – დიდი გზამკვლევი

# ფოთს საქართველოში აღიარებულ ქირურგთა კოჰორტა ემსახურებოდა დიდი დასტაქრის მამია ჩხეიძის ხელმძღვანელობით

### აქვე გთავაზობთ მის მოგონებებს: „ქირურგიული მომსახურების განვითარება ქალაქ ფოთში"



სურათზე: მამია ჩხეიძე, გოგი მელიქია და ნოე ხუბუა

*ქალაქის ცნობილმა ექიმ-გინეკოლოგმა, ქალბატონმა **მარინა ხოფერიამ**, როგორც ყოველთვის, ახლაც მოგვაწოდა საინტერესო მასალები ქალაქის სამედიცინო ცხოვრებიდან. ეს გახლავთ, ბატონ **მამია ჩხეიძის** მოგონებები, რომლის პირველ ნაწილს აქვე ვბეჭდავთ.*

მეფის რუსეთის პირობებში, ფოთი მისი მცირერიცხოვანი მოსახლეობით და რამოდენიმე მწირი საწარმოთი, წარმოადგენდა ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილ ქალაქს იმ წლებში არც ერთი სამკურნალო დაწესებულება არ არსებობდა, მართალია, ამ პერიოდში ქალაქში მუშაობდა ორი ექიმი; ნიკოლოზ ადამის ძე ტერნიკოგოსოვი (1862-1931წწ.) და კონსტანტინე იოსების ძე მიქაბერიძე (1866-1946წწ), მაგრამ მათ საქმიანობას არ შეეძლო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში დიდი ეფექტი მოეხდინა.

პირველი სამკურნალო დაწესებულება ქალაქში გაჩნდა 1917 წელს, რაც დაკავშირებული იყო ექიმ კ.ი. მიქაბერიძის სახელთან. ამ უკანასკნელის ინიციატივით და იმ დროს ფოთის ქალაქის თავის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის მხარდაჭერით გახსნილი იქნა ლაბორატორია 10 საწოლიანი სტაციონარით. ეს დაწესებულება წლების მანძილზე გარკვეულ სამედიცინო დახმარებას უწევდა ქალაქის მოსახლეობას. პირველ რიგში მის უღარიბეს ფენას. შემდეგში ხსენებული სტაციონარი გადიდებულ იქნა 20 საწოლზე. ამ პერიოდში ქირურგიული დახმარება რათქმაუნდა მეტად დაბალ დონეზე იყო. და განისაზღვრებოდა უმარტივესი ამბულატორიული ოპერაციებით. რთულ ოპერაციებზე ფიქრი ზედმეტი იყო. მენშევიკების ბატონობის წლებში (1918-1921წწ.) ქალაქში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება ერთ-ერთ მივიწყებულ უბანს წარმოადგენდა. 1916-1918 წწ. რევოლუციურ მოღვაწეობასთან ერთად ქალაქად სამედიცინო მომსახურეობის საქმეში გარკვეული წლილი შეიტანა ცნობილმა რევოლუციონერმა, შამშე ლეჟავამ. ნამდვილი გარდატეხა ამ საქმეში იწყება 1921 წლიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან; როცა დაიწყო ქართველი ხალხის საერთო აღორძინების პერიოდი. ქალქის რევკომთან დაარსდა ჯანდაცვის განყოფილება, რომელიც სათავეში ჩაუდგა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის საქმის ორგანიზაციას; სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის გაშლას და საექიმო და საშუალო სამედიცინო კადრების აღზრდასა და განმტკიცებას, 1921 წელშივე ძველი სტაციონარი გადაკეთებულ იქნა 40 საწოლიან საავადმყოფოდ, სადაც გამოყოფილი იყო 10 საწოლიანი ქირურგიული პალატა. 1921-23 წლებში მუშაობდნენ ექიმები, ა. მოიშევი, შემდეგ გ. გაგუა, რომლებიც ქირურგიულ მომსახურებასთან ერთად გადაუდებელ სამეანო-გინეკოლოგიურ დახმარებას უწევდა მოსახლეობას. 1924 წელს ქალაქის საავადმყოფო 50 საწოლიანია, აქედან 15 ქირურგიულია. ქირურგიული განყოფილების გამგედ ამ დროს მუშაობს ახალგაზრდა, ნიჭიერი ქირურგი შ. ა. ჭეიშვილი. შემდეგში ბავშვთა ქირურგიის პროფესორი. უკანასკნელის ნაყოფიერი მუშაობის წყალობით (მან ფოთში დაჰყო 1931 წლამდე). ქალაქში ქირურგიული დახმარების საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია.

გავიდა წლები, გაიზარდა მშრომელთა საერთო კეთილდღეობა, გაიზარდა მათი მოთხოვნილებაც, ქალაქის თვითმმართველობის ვიწრო და შეუფერებელი შენობა უკვე ვერ აკმაყოფილებს ახალ მოთხოვნილებებს. 1929 წელს 75 საწოლიანი სავადმყოფო გადადის ახალ 2 სართულიან აგურის შენობაში. ქირურგიული განყოფილებისათვის ეწყობა საოპერაციო ბლოკი, დამხმარე ოთახებით და პალატებით, სავადმყოფოს საწოლების თანდათან გაზრდასთან დაკავშირებით, ბუნებრივია იზრდება და ვითარდება ქირურგიული განყოფილება.

ქალაქ ფოთში ქირურგიული დახმარების საქმემ ვიდრე დღევანდელ მდგომარეობას მიაღწევდა, განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. პირველი ეტაპი მიეკუთვნება 1921-23 წლებს. ეს ეტაპი ასე ვთქვათ მოსამზადებლი ეტაპია. მეორე ეტაპი მოიცავს 1923-31 წლებს.

ამ პერიოდში ქირურგიული დახმარების საქმეს მტკიცე საფუძველი ეყრება და ვხედავთ პირველ წარმატებებს, მესამე ეტაპი მიეკუთვნება 1932-42 წლებს, როცა ქირურგიული საქმიანობა შემდგომ განვითარებას აღწევს. ამ წლებში ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ერუდირებლი ექიმი და კარგი ორგანიზატორი დ.ი. ქობულია. მისი ხელმძღვანელობით ქალაქის საავადმყოფომ რესპუბლიკაში მოწინავე ადგილი დაიკავა და გარდამავალი დროშაც დაიმსახურა. ამ პერიოდში ქირურგიულ განყოფილებას განაგებს და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კვალიფიციური და ავტორიტეტული ქირურგი გ. მ. მუხაიძის მოწაფე წ. ი. ჯანდიერი, რომელიც წარჩინებული მუშაობისათვის ხელმძღვანელობის მიერ რამოდენიმეჯერ იყო გაგზავნილი სამეცნიერო მივლინებებში, ქ. მოსკოვში და ლენინგრადში, მის სახელს წლების განმავლობაში. მადლიერებით იხსენიებს ფოთის მოსახლეობა.

მეოთხე ეტაპი 1942 წლიდან, საბჭოთა ქირურგიის ახალ მიღწევათა, ფოთში სიახლეთა ფართო დანერგვის და მათი წარმატებით განხორციელების წლებია. 1942 წლიდან -1943 წლის მარტამდე (ე. ი. ჩვენს ფოთში ჩამოსვლამდე). ქალაქის მოსახლეობა ქირურგიულ დახმარებას უწევს ქირურგი მ. ყვანიანი, შემდეგ ხანმოკლე დროში ქალაქი უქირურგოდ რჩება და ქირურგიული დახმარების აღმოჩენა დროებით ეკისრება გინეკოლოგს. 1943 წლის მარტიდან ქ. ფოთის წამყვან ქირურგად საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ინიშნება ექიმი მ. ი. ჩხაიძე.

1943-52 წლებში ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას ხელმძღვანელობს განათლებული ექიმი; ქართული, რუსული და უცხოენისა და ლიტერატურის კარგი მცოდნე ი. ს. უჩანეიშვილი. ის განსაკუთრებით პატივს სცემდა ორატორულ ნიჭს. ხშირად იტყოდა კარაგდ მოლაპარაკის მოსმენა მუსიკას მირჩევნიაო. მას უყვარდა პუნქტუალობა, აკურატობა და სიზუსტე. იასონს შესანიშნავი ხელწერა ჰქონდა, როგორც ქართული, ისე რუსული. ახლო მეგობრებისათვის მიწერილ უბრალო ბართშიც იგრძნობოდა მისი კულტურა.

აქვე არ შეიძლება კმაყოფილებით არ მოვიგონოთ პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის და ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელები ნ. ა. გაბუნია და ი.ნ. ლაღიძე, რომლებიც მიუხედავად ომის მძიმე პერიოდისა, მზრუნველობას არ აკლებდნენ ქალაქის საავადმყოფოს. ქირურგიული მომსახურეობის საქმისადმი დაინტერესებით და ქალაქის მოსახლეობის წინაშე დიდი პასუხისმგებლობით იყო გამოწვეული ისიც, რომ ჩემი და ესებუას პირველ დანახვაზე მათ უკმაყოფილება გამოთქვეს: „ასეთი ბავშვები ფოთში როგორ გამოგვიგზავნესო".

კარაგდ ამხსოვს იმ დროს პატივცემული ილიკო და ნიკანდრო საკმაოდ ახალგაზრდები გახლდნენ, მაგრამ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და ქალაქსაც შესანიშნავად ხელმძღვანელობდნენ. მათი წინდახედულება იყო ისიც, რომ გ.მ. მუხაიძის რეკომენდაციას სათანადო ანგარიშიგაუწიეს და ჩვენ „ახალგაზრდობა გვაპატიეს".



მომდევნო წლებში განუსაზღვრელი ამაგი დადო, როგორც მთელი ქალაქის, ისე საავადმყოფოს ფოთის პარტიის საქალაქო კომიტეტმა პირველი მდივნის გ. მ. კოკაიას ხელმძღვანელობით: საავადმყოფოს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. აღჭურვილი იქნა რბილი და მაგარი ინვენტარით. პალატებში ავადმყოფებისათვის მოეწყო ინდივიდუალური ყურმილები. დერეფნებიდან კიბეები მოფენილ იქნა ხალიჩებით.

დერეფნებში და კაბინეტებში გამოფენილი იყო ჩემს მიერ ფანქარში შესრულებული პორტრეტები. გამოჩენილი საბჭოთა და უცხოელი ქირურგების - პიროგოვის, მუხინის, ბუიალსკის, კლიფაროვსკის, თედოროვის, მუხაძის, კახიანის, ძმები მეიოების, ფალსტეტის, კოხერის, ბირის, ბილროთის დასხვების. დერეფანში მოეწყო იშვიათი ოპერაციული მასალების სტენდი, ეზო შემოკავებულ იქნა რკინაბეტონით, ბაღში დარგული იყო დეკორატიული მცენარეები და ყვავილები. გ. კოკაია ამაყობდა ქალაქში ყოველ დარგში მიღწეული წარმატებებით, მახსოვს, როგორ დაწვრილებით მომაყოლა ჩემს მიერ ხელოვნური საყლაპავი მილის ოპერაციის შესახებ სტუმრად ჩამოსულ ცეკას მდივან ცხოვრებაშვილთან, რომელიც მედიცინისადმი ინტერესს იჩენდა და ამ საქმეში საკმარისად განვითარებული იყო.

ეხლა დავუბრუნდეთ ისევ ამ პერიოდს (1943-1952წლები) ქირურგიული განყოფილების საქმიანობას.

ქირურგიულ განყოფილებას უჭირავს საავადმყოფოს შენობის ზედა სართული, რომლის ფართობი 1500კვ/მ აღემატება. განყოფილება შეიცავს 26 ოთახს. ოთახების განლაგება დერეფნების წესითაა. ოთახები ვრცელია, ჭერი მაღალი და ნათელი. განყოფილება დღე-ღამის განმავობაში უწყვეტლივ უზუნველყოფილია ცივი და ცხელი წყლით, რაც ხოციელდება საქვაბე დანადგარით. განყოფილების სამხრეთ - დასავლეთ მხარეს მოთავსებულია საოპერაციო ბლოკი დიდი და ნათელი საოპერაციო ოთახით, საოპერაციოს გააჩნია საკმაო რაოდენობის, თითქმის ყველა სახის ოპერაციისათვის საჭირო იარაღები. განყოფილებას აქვს ყველა ენდოსკოპური იარაღები. განყოფილება ქირურგიულ დაავადებათა დიაგნოსტიკაში ფართოდ იყენებს კლინიკოდიაგნოსტიკურ ლაბორატორიას. კუჭის წვენის ანალიზს, სისხლის ანალიზს და სხვა გამოკვლევებს. ფართო გამოყენებაშია რენდგეოსკოპია და რენდგენოგრაფია. ვენური და რეტროგრადიული პიელოგრაფია, ბრონქოსკოპია და ბრონქოგრაფია, ბიოფსია და ბაქტერიოლოგიურ-ბიოქიმიურ ძვლისტვინისა და ელენთის პუნქტატის გამოკვლევას აწარმოებენ სამხედრო ექიმები, ცოლ-ქმარი სამოილოვები, რომლებიც ყოველთვის დაუზარებლად თანამშრომლობენ ჩვენს ქირურგებთან. წარმოებს გარდაცვლილ ავადმყოფთა გვამების გაკვეთა. 1948 წლამდე გაკვეთას ქირურგები ატარებდნენ, ხსენებულმ წრიდან კი სამოსამართლო ექიმი ა. ლ. კარანაძე. რომელსაც მიღებული აქვს სათანადო კვალიფიკაცია, პათანაომიის ინსტიტუტში თბილისში და ლენინგრადში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს

## ერთ დღეს მოგეკითხებათ ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის

## ქართული ეროვნული ცნობიერება უკვდავი ფენომენია და არავის არ ძალუძს მისი დანგრევა

ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყო და ნათლად დაგვანახა, თუ რა ეტაპობრივად და მიზანმიმართულად ანგრევს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სარწმუნოებრივ ცნობიერებას ,,დემოკრატიის შუქურად” წოდებული ამერიკა-ევროპის მიერ ძალით თავსმოხვეული ის ,,ფასეულობები” რაც, აშკარა წინააღმდეგობაში მოდის ჩვენი ერის სულიერ მოთხოვნილებასთან.

თქვენ კი, მრავლის შემპირებელმა, რომელმაც ერთიც კი, (პრესტიჟისთვის) ვერ შეასრულეთ, თუ არ ჩათვლით, მხოლოდ თქვენი და თქვენი გარემოცვისთვის (სამართლიანობის აღდგენა) წართმეული თანხის უკან დაბრუნებასა და პრივილეგირებულ ბიზნესებში მათ დასაქმებას, რაც ნამდვილად არ ნიშნავს იმ დაპირებების შესრულებას, რის გამოც აგირჩიათ თქვენ საქართველოს მოსახლეობამ, რომელიც ასე ეშმაკურად მოატყუეთ.

აქედან გამომდინარე მინდა შეგახსენოთ ნიკოლაი მაკიაველის უსტარი: ,,ხელმწიფის შესახებ”, რომელიც რეალურად მიესადაგება და ზედმიწევნით წარმოაჩენს თქვენს ნამდვილ პორტრეტს; ,,ხელმწიფე მოქმედებს უხეში ძალით, მსგავსი მხეცისა, იგი უნდა ატარებდეს ლომისა და მელიას თვისებებს. თუ მას მარტო ლომის თვისებები ექნება, ვერ შეძლებს თავის არიდებას ხაფანგისაგან, ხოლო თუ მარტო მელიასი ექნება, ვერ შეძლებს თავის დაცვას მტრისაგან. ხელმწიფემ არ უნდა შეასრულოს თავის დაპირებები, თუ ეს ვნებს მის გეგმებს, ის დაუფლებული უნდა იყოს სიცრუისა და ფარისევლობის ხელოვნებას”. დიახ, თქვენს გეგმაში, როგორც აღმოჩნდა, ნამდვილად არ იყო საკუთარი ხალხის გაჭირვებიდან გამოყვანა და სამართლიანობის აღდგენა, მაგრამ კარგად ყოფილხართ დახელოვნებული სიცრუისა და ფარისევლობაში. რისი მეშვეობით შეძელით ხელისუფლებაში მოსვლა, თქვენი მრავალმილიარდიანი ბიზნესის კიდევ უფრო გაზრდა. ხოლო, რაც შეეხება, სხვა დაპირებებს, ის ისე გაქრა, როგორც შარშანდელი თოვლი. მაგრამ ამით როდი ამოიწურა თქვენი მზაკვრობა, თქვენ კიდევ უფრო საშინელი განსაცდელი მოუწყვეთ ქართველ მართლმადიდებელ ერს! უშუალოდ დაავალეთ თქვენ მორჩილ არაეროვნულ პარლამენტს, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, როგორც ეტყობა, ეროვნულთან დაპირისპირების შემდეგ განიზრახეთ მართლმადიდებლობასთან შებრძოლება.

გაგიჭირდებათ ბიძინა ბატონო! თქვენ, თქვენს მორჩილ პარლამენტს, რომელიც უფრო ავყიათა საკრებულოს ჰგავს და ასევე მკვდრადშობილი ,,ქართულ ოცნებას”,- დეზი კრათ. საქართველო - ლაზარეა-უფლის-საყვარელი მეგობარი! რომელსაც ჭეშმარიტად აღადგენს უფალი. მისი დიდებით მოსვლის დღეს! ხოლო მათ, ვინც აწამებდა და სიცრუეში ამყოფებდა უფლის საზეპურო ერს, განკითხვის დღეს ყოველი ჩადენილი ცოდვებისათვის უმკაცრესად მოეკითხებათ, უფალი თქვენ ყველას, თქვენივე ნამოქმედარით გიწერთ განაჩენს! თუ დროზე არ მოეგეთ გონს და არ ჩავარდით სინანულში. (რისი ძალიან ნაკლებად მჯერა), მაგრამ ქართველმა ერმა, თავის ეკლიან გზაზე, ეს ,,ბატონებიც”, უნდა მოიხადოს, რომ ღირსეულად აღსდგეს აღდგომა დღეს. ღმერთმა დალოცოს საქართველო. ამინ!

,,... ის იყო გიჟი და მისი ადგილი საგიჟეში იყო”. ეს ყოვლად არაქრისტიანული და არაადამიანური სტიყვები მიმართული სამშობლოს თავისუფლებას ზვარაკად შეწირული საქართველოს ეროვნული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასადმი გეკუთვნით თქვენ! საქართველოს სულიერი მისიის ,,წინააღმდეგ მებრძოლს”.

,,კატეგრიული წინააღმდეგი ვარ თბილისის საერთაშორისო აეროპორტს მისი სახელი დაერქვას”. (მკაცრი გაფრთხილება თბილისის საკრებულოს). ეს შურითა და ღვარძლით აღსავსე სიტყვები გეკუთვნით თქვენ!. როგორ აშკარად გეტყობათ, (მსგავსად ნაზარბაევისა, ყაზახეთში). ყველა პედესტალზე საკუთარი თავის მოაზრება, რომ სიცოცხლეშივე შეხვიდეთ ისტორიაში, რაც იმის მაუწყებელია, რომ საკუთარი პერსონა ზვიად გამსახურდიაზე ზემოთ დააყენოთ, რაც ისეთივე შეუძლებელია, როგორც მზის შუაგულში შეღწევა. ასევე უარი განაცხადეთ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელი დარქმეოდა, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს თქვენს პატარა კაცობაზე. თქვენ, ასევე ჯერ კიდევ, თქვენი ე.წ. პოლიტიკური ბრძოლის დასაწყისში მკაცრად აფრთხილებდით ნოდარ ხადურს და საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელს გელა ხვედელიძეს, ,,ქართული ოცნების” პარტიულ სიაში ,,ზვიადისტები” არ შეეყვანათ, ვინაიდან კარგად იცოდით ,,ზვიადისტები” არასოდეს დაუშვებდნენ იმას, რაც თქვენ, დღიდან გამარჯვებისა დღემდე დამართეთ ქვეყანას, რამაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას აშკარა საფრთხე შეუქმნა, რაც თქვენი 7 წლიანი დრაკონული მმართველობის შედეგია, რომელსაც მხოლოდ დაღუპვისაკენ მივყავართ. თუ დროზე არ შეგაჩერეთ. იმედია, ასეც მოხდება.

თქვენ ასევე ისიც იკადრეთ, (თუმც, რას არ იკადრებთ თქვენ) საქართველოს ეროვნულ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, ქვეყნის მმართვის მანერაც კი დაუწუნეთ. არ შემიძლია, თქვენს ,,ბრძნულ” შეფასებას იუმორით არ ვუპასუხო, ვინაიდან იუმორის გარდა შეუძლებელია სხვაგვარად მისი შეფასება, რადგან ,,სიღრმისეულად” იგრძნობა თქვენი ,,ფილოსოფიური” მიდგომა ქვეყნის მმართვისადმი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ დიდი ხანია მთელი ქვეყანა გრძნობს თქვენში ,,რეინკარინებულ” სოკრატეს, რომელმაც ,,ზეუნივერსალური” ნიჭით ,,განჭვრიტეთ” ზვიად გამსახურდიასადმი არსებული ქვეყნის მართვის მთავარი პრობლემის არსი.

თქვენი ,,მასშტაბური” აზროვნებისათვის ძალზედ პატარა მეჩვენება ეს ქვეყანა. გირჩევთ თქვენი უკიდეგანო ნიჭის კიდევ უფრო გასაფურჩქნად შესანიშნავი ადგილია (თავისი მასშტაბით). ,,დიადი” რუსეთი, სადაც თქვენნაირი გამორჩეული ნიჭის მქონე ადამიანებისთვის უკეთეს ადგილს ნამდვილად ვერ მოძებნით დედამიწის ზურგზე, სადაც ასე ძლიერ (აკადემიურ დონეზე) განვითარებულია ,,მეცნიერების” ეს ,,უნიკალური” დარგი თაღლითობა და სხვა.

ჩვენ კი, ქართველები, ის ერი ვართ, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს, (რომელიც არც ისე შორსაა) სრულიად ჩამოვშლით და მიწასთან გავასწორებთ თქვენს მიერ, მრავალი წლის განმავლობაში (სხვების სისხლზე) ნაშენებ პირამიდებს.

ასევე თქვენ, სრულიად მოურიდებლად, (სინდისმოკლებული) ჩადიხართ სამეგრელოში, ხობის რაიონში, სოფელ ძველ ხიბულაში, ღურწკაიების ოჯახში, სადაც თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ და იქვე შეკრებილ ადამიანებს წარუდექით, როგორც ,,ჭირისუფალი” და მათთან საუბარში განაცხადეთ: ,,ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს, ასეთი ღირსეული კაცი რომ ვერ დავიცავით”. ცრემლიც კი მოგადგათ თვალებზე, რომ ყველაფერ ამას გადამწყვეტი როლი ეთამაშა თქვენს მიერ წარდგენილი კანდიდატის გამარჯვებაში, ვინაიდან, ძალიან დიდი მარცხის წინაშე აღმოჩნდით, თქვენდა სამწუხაროდ, მინდა გითხრათ; მეგრელებმა არ ირწმუნეს თქვენი ნიანგის ცრემლების, უბრალოდ გაიცინეს, არავითარი თანაგრძნობა და მხარდაჭერა არც გამოუხატავთ თქვენი მისამართით, რაც აღნიშნეს ჩემთან შეხვედრისას ძველ ხიბულაში, რადგან ყველას კარგად ახსოვს თქვენი უშუალო განწყობა ჯერ კიდევ ცოცხალი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასადმი, როდესაც ღიად დუჭირეთ მხარი პუჩისტებს და ქვეყნის მოღალატე კიტოვანს ფინანსური დახმარება გაუწიეთ. დღეს კი, ეშმაკურად ცდილობთ ხალხს თვალებში ნაცარი შეაყაროთ და მათი გულის მოსაგებად თქვენი მზაკვრული ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანას, რაც ძველ ხიბულაში, ღურწკაიების ოჯახში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახლ-მუზეუმის გახსნას უკავშირდება, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე დასასვენებელი პარკის, რისი არც მორალური და არც კანონიერი უფლება თქვენ არ გაქვთ.

და მაინც მინდა გკითხოთ: აღნიშნული სახლის კედელზე რა წარწერის აზრას გააკრავთ? იმას ხომ არა: ,,ამ სახლში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია”. რამეთუ, მცნება მუზეუმი, რომლის არსს თქვენ ნამდვილად ვერ წვდებით, მინდა განგიმარტოთ ,,მუზეუმი” ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მუზების ტაძარს, დაწესებულებას. რომელი მუზების ტაძარია ღურწკაიებს ოჯახში დატრიალებული ტრაგედია?! სადაც დღემდე გაურკვეველ ვითარებაში მუხანათურად მოკლულ იქნა ქვეყნის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც აგროვებს, იცავს და გამოფენს დასათვალიერებლად ხელოვნების ნაწარმოებებს, ისტორიულ, სამეცნიერო, საბუნებისმეტყველო ექსპონატებს და სხვა. აღნიშნულიდან რომელი ერთი გამოფენა შეესატყვისება ღურწკაიების ოჯახში შემზარავ ფაქტს?! რათქმაუნდა არცერთი, რაც თქვენს გაუნათლებლობაზევე მეტყველებს.

რაც შეეხება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაღუპვის ადგილზე, არა მუზეუმი, არამედ ობელისკი უნდა დაიდგას, რაც შინაარსობრივად შეესატყვისება ობელისკის მთავარ დანიშნულებას, ხოლო, რაც შეეხება სახლს, იგი უნდა დარჩეს პირვანდელი სახით, რომ ყველა მიმსვლელს ნათელი წარმოდგენა დარჩეს თუ რა პირობებში უწევდა დევნილობაში მყოფ საქართველოს ეროვნულ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას, თავისი სიცოხხლის უკანასკნელი დღეების გატარება, როგორ განვლო მან მოწამეობრივი, ეკლიანი გზა, და როგორ შეეწირა საქართველოს თავისუფლებას მტერთა უთანასწორო ბრძოლაში, რასაც უხმოდ და სულისშემძვრელად გადმოსცემს ის ავბედითი უკანასკნელი სამყოფელი პრეზიდენტისა.

და ბოლოს! მინდა გითხრათ, როგორც ამ ქვეყნის დაუძინებელ მტერს და მოღალატეს: თქვენ, (როგორც უკვე ავღნიშნე) თქვენ არავითარი მორალური და კანონიერი უფლება არ გაქვთ სხვათა სისხლზე ნაშოვნი ფულით არათუ მუზეუმების გახსნის, არამედ ზვიად გამსახურდიას წმინდა სულთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ქველმომედების. ვინაიდან, სიცოცხლეშივე უკვე შეხვედით ისტორიაში, მაოხრებელი გზირი ამა ქვეყნისა, ბნელეთის უკანასკნელი მოციქული, რომლისაგან საქართველო მალე განთავისუფლდება.

და, მაშინ, უფლის მოვლენილი, ქართველი ერი ღირსეულ პატივს მიაგებს საქართველოს თავისუფლებას ზვარაკად შეწირულ ეროვნული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წმინდა სულს და მისი ხსოვნის საპატივცემულოდ თავად დაუდგამს მარადიული შეგონების სვეტად აღმართულ წმინდა ობელისკს!

**საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო რწმუნებული, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი ზურაბ ცხვიტარია.ს**

---

*ლევთერ ჭოჭუა*

**ჩანახატი**

# შაშვი გალობს, ბაყაყი ყიყინებს



მიყვარს სათევზაოდ გასვლა, არამარტო თევზის დაჭერა, არამედ ბუნების წიაღში გასეირნებაც მიყვარს. მხიბლავს ბუნების მრავალსახეობა. არ მიყვარს გაშიშვლებული არემარე. მიტაცებს ტყე-პარკი, ტყის კორომებით გარშემორტყმული ტბა, მდინარე, მწვანით შემოსილი მინდორ-ველი, მცენარეთა ნაირსახეობა-ფლორა, ფაუნა, ეკალბარდებიც წარმტაცია, იქ რომ ჩიტუნები ბუდობენ თავს აფარებენ. ადამიანი კი დროებით მოვლინებული არსებაა. ღმერთის მიერ საგანგებოდ შექმნილი დედამიწაზე.

ჰოდა ის იყო, ერთ მშვენიერ დღეს დილაადრიან გავეშურე სათევზაოდ ოქროს ტბაზე. გაღმა ყოფილ ტაბლოსთან შევჩერდი. გავიხედ-გამოვიხედე. ახლომახლო ჯერ არავინ მოსულიყო; მხოლოდ გაღმა შეიმჩნეოდა ორიოდე მეთევზე. ადგილი შევარჩიე, საჭირო მოწყობილობები მანქანიდან გადმოვიღე. მშვიდად მოვკაკლათდი, ბამბუკი გავშალე, ანკესს ჭია მოვარგე და ანკესი წყალში ჩავუშვი. კიდევ ერთხელ თვალი გადავავლე ბუნების მშვენიერებას, გასარკული მთიდან, მზე ნაირფერებით შემოსილი, ნელ-ნელა ამოდიოდა. და თავის მადლიან სხივებს უხვად აფრქვევდა დედამიწაზე. პალიასტომიდან მონაბერი ნიავი ნაძვნარის ტოტებს ოდნავ არხევდა და ჟანგბადით დატვირთული ოქროს ტბაზე ეფინებოდა, რაც ტალღის მაგვარ წყის მცირე ნაკეც-ნაკეც ფენებს ქმნიდა. შავი ზღვიდან მონაბერი ნავი კი. სულიერ სიმშვიდეს იწვევდა. მოშარიშურე ტყეპარკიდან ჩამონაქროლი სიო, ყურში ჩამჩურჩულებდა, თითქოს რაღაც უნდა ეთქვა. ზურგს უკან ბუჩქნარებში ამაღლებულ ხის ტოტზე, უჩინრად ჩამომჯდარი, შაშვის გულში ჩამწვდომი გალობა გაისმოდა, ცოტა მოშორებით კი ბულბულის სტვენა და ბეღურების ჟრიამული ისმოდა. ბუნების საოცრებაში ჩაფლულს ლამის თევზაობა დამავიწყდა, თუმცა მალევე გონს მოვეგე, ახლო-მახლო ნაცნობ - უცნობი მეთევზეებიც განლაგებულან. მოულოდნელად ჩემი ტივტივა წყლის ზედაპირზე ნელ-ნელა ჩამოწვა. გულის ფანცქალით მოვწიე მისინა, მაგრამ ნურას უკაცრავად ვატყობ მძიმეა, ნაღდად დიდი თევზია, როგორც წესი ბამბუკი ნელ-ნელა მოვწიე და... ერთ კილოგრამიანი თევზი, კარასი ამოვაშხვართალე წყლიდან. მეთევზეები მილოცავდნენ-ერთიორად, ერთი ორადო. ზოგიც საღოლ ლევთერიო, მეძახოდნენ. სიამაყითა და სიხარულით აღსავსემ ცოტა შევისვენე. ნახელავით კმაყოფილი ათასნაირ ფიქრებში ვიყავი ჩაფლული, როდესაც ჩემი ყურადღება ბაყაყების ყიყინმა მიიპყრო. ყველა ერთად ყიყინებდა, თუმცა მათ შორის ერთი სულ სხვა ხმაზე იძახდა, ბაყაყბის ყიყინი არასასიამოვნო და მოსაბეზრებელია, მაგრამ რას იზამ, ბაყაყი ხომ წყალში ყიყინებს. ზოგჯერ გაჩუმდებოდნენ და ჩამიჩუმი აღარ ისმოდა.

საოცრება ისაა, რომ განსხვავებული ხმის მქონე ბაყაყი როგორც კი წაიყიყინებდა, უმალვე აყვებოდნენ და ისეთი ხმაური ატყდებოდა, რომ მეთევზეები ღიზიანდებოდნენ, სამაგიეროდ შაშვი და ბულბული ტკბილ ხმაზე გალობდნენ. სხვა ჩიტუნები ოვაციებს მართავდნენ-დაბალ ხმაზე ჟღურტულებდნენ და მეთევზეებს სასიამოვნო განწყობას უქმნიდნენ.

ოქროს ტბაზე მომრავლებულო ბაყაყებო ლექსად მოგმართავთ:

წყლის ბინადარო ბაყაყო,
კოღო-ბუზებთან ამაყო,
რომ არ გაგისკდეს ბუშტები,
იქ წყალში დიდხანს არ დაყო.
ამ წყალში ვინ მოგიყვანათ,
ალბათ მოსულხართ, იქ ნებით,
აწი გინდ მთაზე ახვიდეთ,
მაინც ბაყაყი იქნებით.

# სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი...

## ვულოცავთ ფოთელ ხელბურთელებს გამარჯვებას



ამა წლის 17-19 მარტს ტყიბულში ჩატარდა ქალთა შორის უმაღლესი ლიგის დასავლეთის ზონის მატჩები ხელბურთში, სადაც ფოთელმა ხელბურთელებმა წარმატებით იასპარეზეს:

ფოთი - წყალტუბო 45:25
ფოთი - აჭარა 33:24
ფოთი - სამტრედია 30:26

20-22 მარტს სენაკმა უმასპინძლა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დასავლეთის ზონის მატჩებს 14-წლამდელ გოგონათა შორის, სადაც ფოთელმა გოგონებმა 5 ჩატარებული თამაშიდან 4 მატჩში მიაღწიეს გამარჯვებას და მხოლოდ ტყიბულელ თანატოლებთან დამარცხდნენ ანგარიშით - 21:23.

ფოთი - ბათუმი (ბ.ს.ბ) 25:14 ფოთი - ქუთაისი 17:5
ფოთი - სამტრედია 21:9 ფოთი - აჭარა 25:17

ქალაქ ფოთის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური მიღწეულ წარმატებებს ულოცავს ფოთელ ხელბურთელებს და მათ მწვრთნელ-მენეჯერს ქალბატონ დარეჯან გეფერიძეს.

## საქართველოს ქალთა 78-ე ჩემპიონატის პირველი ლიგა



ფოთის ჭადრაკის სკოლის მოსწავლის, დიანა ლომაიას დამაჯერებელი პირველობით დასრულდა საქართველოს ქალთა 78-ე ჩემპიონატის პირველი ლიგა!

გამარჯვებულმა 9-დან 7,5 ქულა დააგროვა. აღსანიშნავია, ლომაიას საკმაოდ მაღალი ხარისხის პარტიები და სერიოზული სარეიტინგო მატება +165 ქულა!

ამით მან საქართველოს ქალთა 78-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა, სადაც 10 უძლიერესი ქართველი მოჭადრაკე უმაღლესი ტიტულისთვის იბრძოლებს

6 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა და ჩემპიონატში ასპარეზობის პირველი კანდიდატი იქნება ფოთის ჭადრაკის სკოლის მეორე წარმომადგენელი ელენე წოწონავა.

## გამოსათხოვარი

### ქართული ფეხბურთის ამაგდარი 100 წლის გახდებოდა ივანე (ლოლო) ხოფერია



დიდი სპორტსმენი, დიდი მოქალაქე და ქართული ფეხბურთის პატრიარქი დაიბადა 1921 წლის 2 აპრილს ფოთში. ქარული ფეხბურთის ისტორია ამ ფეხბურთიდან იწყება და როგორც ყველა ბავშვი, პატარა ივანეც ფეხბურთით იყო გატაცებული. ჯერ კიდევ ყმაწვილი მიიწვიეს ფოთის ნაკრებში, 1941 წლის გაზაფხულზე საქართველოს უძველესი გუნდის -თბილისის ,,დინამოს" წევრი გახდა. მაგრამ დაიწყო ომი და 20 წლის ახალგაზრდამ ფარაჯა ჩაივა. იბრძოდა ბალტიისპირეთში. შემდეგ ჰოლანდიის კუნძულ ტექსილზე აღმოჩნდა აქტიურად მონაწილეობდა ქართველ ტყვეთა აჯანყებაში. ჰოლანდიელი პატრიოტების დახმარებით თავი დააღწია გერმანელთა ტყვეობას და კვლავ ფეხბურთს დაუბრუნდა. ამჯერად ესტონეთში. 40-იანი წლების დასასრულს კი ისევ თბილისის დინამოელთა რიგებშია, თუმცა ხანგრძლივმა ტრავმებმა საშუალება არ მისცა, სრულიად გამოევლინა თავისი შესაძლებლობა. 1956 წლიდან, როგორც მწვრთნელი, სათავეში ედგა ფოთის ,,ვოდნიკს". შემდეგ საკავშირო ,,ბ" კლასში მოასპარეზე კოლექტივს. მისი ხელმძღვანელობით არაერთმა ფოთელმა ახალგაზრდამ გაიკვლია გზა დიდი ფეხბურთისაკენ. საწვრთნელო მოღვაწეობის შემდეგ ფოთის ვეტერან ფეხბურთელთა საბჭოს თავკაცად აირჩიეს, აქტიურად მონაწილეობდა ზღვისპირა ქალაქის საფეხბურთო ცხოვრებაში. 1997 წელს მიენიჭა ქ. ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება.

ფეხბურთი მისი ცხოვრების კრედო იყო და მის გარეშე წუთითაც ვერ წარმოედგინა თავი. იმ ავბედით დღესაც, 4 მარტს, საყვარელი გუნდის საქომაგოდ იყო ქაუთაისში. შინისაკენ მიმავალმა კი ავტოკატასტროფაში სასიკვდილო ტრავმა მიიღო. თავისი 80 წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე წავიდა ჩვენგან ქართული ფეხბურთის ამაგდარი, თაობათა პატივისცემითა და სიყვარულით, მუდამ გარემოსილი პიროვნება ივანე (ლოლო) ხოფერია.

2 აპრილს 100 წელი შეუსრულდებოდა. დიდი სპორტსმენისა და ნაღდი ფითელის ხსოვნა მუდამ დარჩება თანამოქალაქეთა ხსოვნაში.

**სპორტკომიტეტი: ფეხბურთის საქალაქო ფედერაცია: ფოთის ვეტერან ფეხბურთელთა საბჭო.**

## ნოდარ კოსტავას ხსოვნას

### სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდა ყოფილა ორი წელი - გარდაცვალებიდან

**თემურ კოსტავა:**

ძნელი გამოდგა მარტოობის ორი წელი - მონატრებით, მოგონებით სავსეა ეს დღები, მამა - შენ ჩვენთვის კაცობის, სიყვარულის, სიკეთის დიდი მაგალითი იყავი. ორი წელია ჩადგა ჩვენს შორის არყოფნა, მაგრამ შენ მაინც ჩვენთან ხარ, რასაც შენი მეგობრების ეს გახსენებაც მოწმობს...

*****

გაილია კიდევ ერთი კარგი ფოთელის წუთისოფელი, შრომით, წვალებით და მაინც სიხარულით. უყვარდა სიცოცხლე, ოჯახი, ახლობლები, უვარდა თავისი საქმე და ვალმოხდილი მიდის ამ ქვეყნიდან. მისი თაობა სამამულო ომის დამთავრების დროს მოევლინა ქვეყანას, როცა ყველას თითქოს ერთნაირად უჭირდა და ამან ერთგვარად განსაზღვრა მისი ხასიათი, ჭირთა თმენა, თანაგრძნობა, იყო ბავშვობა, უფრო მეტი პასუხისმგებლობა, არ იყო გართობა, ფუფუნება. ნოდარი ადრევე შეუდგა შრომით საქმიანობას, წლების განმავლობაში მუშაობდა გემთმშენებელ ქარხანაში, სადაც კარგი სპეციალისტისა და მშრომელის სახელი დაიმკვიდრა, უყვარდა თევზაობა, იგი შემოსავლის წყაროც იყო-ღამის თევა პალიასტომზე, ზღვაზე, თუმცა მაშინ ბრაკონიერობა უცხო გამოთქმა იყო, ისინი იცავდნენ ბუნებრივ ბალანსს, ამ თაობას მხიარული დღეებიც ბევრი ახსოვს, ერთმანეთის მოფერება, სტუმართმასპინძლობა, კაცთმოყვარეობა, ერთმანეთის გატანა, კეთილი, უღალატო კაცის სახელი ატარა, როგორც ნაღდმა ფოთელმა.

რამდენად დიდი მეგობრობა შეეძლოთ, ტკივილიც უფრო მეტი ახლდა ცხოვრებას, სამუდამო განშორების გამო - როცა ვერაფერი ავსებს ახლობლების დანაკლისს, ასე ძალიან განიცადა მეგობრის, გურამ კუტალაძის ამ ქვეყნიდან წასვლა, სიკვდილი გარდაუვალია, მაგრამ მთავარი ისაა, როგორ გამოიყენებ სიცოცხლეს. რა მიჰყვება საგზლად იმ ქვეყნიურ გზაზე, მან წუთისოფლის ვალი მოიხადა და პირნათელი მიეახლება წინაპრებს. .



სიცოცხლის ძაფი არ წყდება, ნოდარ კოსტავამ დატოვა ოჯახი, როგორც ციხე-კარი მისი კაცობის, რომლის გაძლიერებისთვის ყველაფერი გააკეთა, მეუღლესთან მაყვალა მალაზონიასთან ერთად ღირსეული შვილები აღუზარდა ქვეყანას. თემურ და თამილა კოსტავები. მწარედ დასტირის საყვარელ ძმას და გულნარა კოსტავა-ჩხარტიშვილი.

ძალიან განიცდიან მოსიყვარულე ბაბუასთან განშორებას შვილიშვილები მედეა, ნინო, ინგა და ზაზა, შვილთაშვილები-ლიანა, თაკო, გიორგი, რომლებმაც ალალი ცრემლი გააყოლეს დიდ ბაბუას უკანასკნელ გზაზე.

გავა წლები და ყოველთვის ტკბილად მოიგონებენ ამ, მართლაც უწყინარ, კეთილშობილ კაცს, რომელიც დიდხანს დარჩება ახლობლების, მეგობრების მეხსიერებაში.

ღმერთს ებარებოდეს მისი დიდებული სული.

**მეგობრები, ახლობლები...**

*მედეა და ვანო ნარმანიები, ქეთევან და მამუკა გოგინავები, ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფოთის ექიმთა საზოგადოების ტრადიციების ღრსეული გამგრძელებელი, დამსახურებული ექიმი-თერაპევტი, კეთილშობილი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე*

***ევგენი (გია) გოგნავა***

*და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს*

*ქ.ფოთის V-ე საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულები და მასწავლებელი ი. ქვარცხავა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალ თანაკლასელი*

***ივეტა ბებია***

*და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.*

*დალი ბოლქვაძე, ნუნუ ლადიძე, დუმილი ლაგვილავა, ეთერი ჯგუბურია, როზა მიქავა, გივი აბდუშელიშვილი, გურამ აბრამია, იური ბოკუჩავა, მარლენ კუხალეიშვილი, სოსო დევაძე, როლანდ ლაბარტყავა, ჯემალ ნორაკია, ომარ შურღაია*

## მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი



*თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს. აქვე დაგიმზადებენ ველოსიპედისა და მოპედის ნომრებს.*

*თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.*

*ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)*

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში“ E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი
ზ. აბრალავა